

სამართლის თეორიის შუალედური

არის თუ არა იურისპრუდენცია მეცნიერება?

იურისპრუდენცია ნამდვილად არის მეცნიერება. მას ისევე როგორც მეცნიერებათა დარგებს აქვს შესწავლის ობიექტი. იურისპრუდენცია არის მეცნიერება სამართლის შესახებ. ის შეისწავლის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ქცევის წესებს.

თუმცა აქვე მნიშვნელოვანია იურისპრუდენციის ადგილი მეცნიერებათა სისტემაში. იურისპრუდენცია არ მიეკუთვნება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, რადგან საბუნებისმეტყველო მეცნიერებები დაკვირვებაზე და ექსპერიმენტზე დამყარებული მეცნიერებებია. ხოლო იურისპრუდენცია წინასწარ განსაზღვრულ, დადგენილ ნორმებს შეისწავლის. თუმცა მას აქვს კავშირი ანალიტიკურ მეცნიერებებთან. ისევე როგორც ანალიტიკურ მეცნიერებს იურისპრუდენციასაც აქვს თვითონ ჩამოქალიბებული აქსიომები და სიმბოლოები.

ჰუმანეტიტარული მეცნიერების ძირითადი საგანი მოცემულია ტექსტის სახით. ტექსტის გაგების მეთოდებს ჰერმენევტიკა ეწოდება. იურისპრუდენციასაც ჰერმენევტიკულ მეცნიერებას მიაკუთნებენ, რადგან სამართლის ნორმები მხოლოდ ტექსტის სახით არის ჩამოყალიბებული. იურიდიული ჰერმენევტიკა არის იურიდიული ტექსტის ინტერპრეტაციისა და გაგების მეთოდების ერთობლიობა.

სოციალური მეცნიერებები სწავლობენ ხალხთა თანაცხოვრებას. სოციალური სინამდვილე, გავლენას ახდენს როგორც სამართალშემოქმედებაზე, ისე სამართლის შემფარდებელზე. თუმცა იურისპრუდენცია სოციალური მეცნიერებისგან განსხვავებით, არის ნორმატიული და არა დესკრიფციული მეცნიერება.

იურისპრუდენციას ახასიათებს მეცნიერების ტიპური ნიშნები: 1) იურისპრუდენცია აანალიზებს შემეცნების ობიექტს, განსაზღვრული მეთოდების საფუძველზე. 2) იურისპრუდენციას ახასიათებს ობიექტურობა. 3) იურიდიული სამეცნიერო კვლევის პროცესში მიღებული შედეგები შეიძლება გადამოწმდეს. 4) იურისპრუდენცია საკითხს უდგება ლოგიკურად და რაციონალურად. 5) იურიდიული მეცნიერება ერთმანეთისგან გამიჯნავს: ა) ფაქტს, ვარაუდს; ბ) ფაქტის ანალიზს, ინტერპრეტაციას; გ) ნორმატიულ, შეფასებით მსჯელობებს.

იურისპრუდენცია, როგორც მეცნიერება, იყენებს კვლევის მეთოდებს. ესენია: ინდუქცია, დედუქცია, ანალიტიკური და სინთეზური, ჰერმენევტიკული და სხვა.

იურისპრუდენციას აქვს სამი ძირითადი ფუნქცია: 1) იურისტების განათლება, 2) თეორიული მიმდინარეობისა და მოძღვრების ანალიზი, 3) საკუთარი მოსაზრებების წამოყენება მართლწესრიგის სრულყოფისა და განვითარებისთვის.

თუმცა ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ იურისპრუდენციას აქვს არამეცნიერული ხასიათიც. იურისპრუდენციის კვლევის ობიექტი ცვალებადია დროსა და სივრცეში. ობიექტი „შემთხვევითია“ და დამოკიდებულია გარეშე, ცვალებად ფაქტორებზე.

ამრიგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იურისპრუდენცია არის მეცნიერება რომელიც შეისწავლის სახელმწიფოს მიერ დადგენილ შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესებს.

სამართლის პოზიტიური ცნება

პოზიტიური სამართალი არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი, შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა.

პოზიტიური სამართალი ჯერარსული მოვლენაა, წინასწარ ადგენს ქცევის სავალდებულო მოდელს, რომლის მიხედვითაც უნდა მოიქცეს ქცევის ადრესატი. სამართალს ჰყავს ადერსატები. იგი მიმართულია ადამიანის გარეგანი ქცევისაკენ. პოზიტიურ სამართალს ნაკლებად აინტერესებს სამართლის მიმართ პირის შინაგანი დამოკიდებულება. სამართალს ახასიათებს იძულებითი წესრიგი. ნორმა არის შეასრულებლად სავალდებულო და ახასიათებს ჰეტერონომიული ვალდებულება. სამართალი არის სახელმწიფოს დადგენილი ნორმების ერთობლიობა.

პოზიტივისტური შეხედულებები განსაკუთრებით განავითარა სამართლის ნორმატიულმა თეორიამ. სამართლის ნორმატიულ თეორიას საფუძველი ჩაუყარა ჯონ ოსტინმა, ოსტინის შეხედულებებით სამართლის მოქმედების საფუძვლებს აყალიბებს სახელმწიფო ხელისუფლების სუვერენული ნება-სურვილი. სამართლის შექმნაზე ექსკლუზიური უფლებამოსილი პირი არის სახელმწიფო.

მოგვიანებით კელზენმა ჩამოაყალიბა სამართლის წმინდა თეორია. ეს არის მონისტური მოძღვრება, რომლის თანახმადაც არსებობს მხოლოდ ერთი პოზიტიური სამართალი. კელზენი ცდილობდა სამართლის მეცნიერების გათავისუფლებას ყოველგვარი „არაიურიდიული მინარევებისგან“ (როგორებიცაა: ჩვეულება, მორალი.)

კელზენის აზრით უმართლობა არის არა სამართლის ნეგაცია (უარყოფა), არამედ მისი პირობა. ანუ ქცევის წესის დარღვევით არა სუსტდება სამართალი, არამედ პირიქით ძლიერდება, რადგან თავის ფუნქციას ასრულებს.

კელზენი სამართლის ნორმის საფუძველად ძირითად ნორმას მიიჩნევდა. ძირითადი ნორმა მოითხოვს, რომ იძულება განხორციელდეს კონსტიტუციისა და კონსტიტუციის შესაბამისად მიღებული ნორმების საფუძველზე. ამით ის უარყოფდა მართლწესრიგის შექმნაში ღმერთის, „მეტასამართლებრივი კატეგორიის“ ან ეთიკური ელემენტების როლს.

თუმცა პოზიტიურ სამართალს საყოველთაო აღიარება არ მოჰყოლია, ის კრიტიკის ობიექტშიც აღმოჩნდა. მის საწინააღმდეგოდ წამოაყენეს შემდეგი თეზისები: 1) იურიდიული პოზიტივიზმი აღიარებს სამართალშემოქმედებაზე სახემწიფოს აბსოლუტურ მონოპოლიას. 2) პოზიტიური სამართალი ღიად ტოვებს სამართლიანობის საკითხს - სამართლებრივია ის ნორმებიც, რომლებიც ეწინააღმდეგება მორალსა და სამართლიანობას. 3) პოზიტიური სამართალი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოების მხრიდან სამართლის აღიარების ფაქტს.

სამართლის პოზიტიური ცნების წინააღმდეგ წამოყენებული უმართლობის არგუმენტი ცნობილია რადბრუხის ფორმულის სახით. მისი აზრით სამართლებრივ უსაფრთხოებასა და სამართლიანობას შორის კონფლიქტისას პოზიტიურ სამართალს იმ შემთხვევაშიც უნდა მიენიჭოს უპირატესობა, როდესაც იგი შინაარსობრივად უსამართლო და მიზანშეუწონელია. უფრო მნიშვნელოვანია დავა დასრულდეს სწრაფად და ეფექტურად ვიდრე ჰქონდეს სამართლიანი და მიზანშეწონილი დასასრული. თუმცა ნორმა არ შეიძლება შესრულდეს იმ შემთხვევაში, როდესაც პოზიტიური კანონი აჭარბებს უსამართლობის ზღვარს, აუტანელი და გაუსაძლისია. ამ შემთხვევაში სამართლებრივი დავა ბუნებითი სამართლით უნდა მოგვარდეს.

სამართლის ბუნებით-სამართლებრივი ცნება

ბუნებითი სამართალი მოიცავს დროისა და სივრცის გარეშე არსებულ ქცევის ობიექტურად სავალდებულო წესებსა და პრინციპებს. ბუნებით სამართალს ხშირად ზეპოზიტიურ სამართალს უწოდებენ. იგი მორალისა და სამართლიანობის იდენტურია - ხშირად განიხილება როგორც სინონიმური ცნებები.

ბუნებით სამართლის ცნება ჯერ კიდევ არსებობდა ძველ რომში. რომაელები მას *ius natural-*ს უწოდებდნენ. მათი აზრით ბუნებითი სამართალი ბუნებამ შეასწავლა არამართო ადამიანებს, არამედ ცხოველებსა და ფრინველებს. და შემდგომში არსებული ყველა კანონზომიერება და წესრიგი ბუნებითი სამართლიდან მომდინარეობს.

გუსტავ რადბრუხის აზრით (ჩვენი რადბრუხი) არსებობს სამართლის პრინციპები, რომლებიც გაცილებით წინააღმდეგობა უწევს ვიდრე სამართლებრივი აქტი. თუკი კანონი ეწინააღმდეგება სამართლებრივ პრინციპს კანონი არ მოქმედებს. ეს პრინციპი ცნობილია ბუნებითი სამართლის, იგივე გონის სამართლის სახელწოდებით.

ბუნებითი სამართალი, პოზიტიური ნორმების გარდა, მოიცავს მორალის განსაზღვრულ პრინციპებს, რომელიც აფუძნებს და გარკვეულ ფარგლებში აქცევს პოზიტიურ სამართალს. მორალის პრინციპებს აქვს იურიდიული მოქმედების პრეტენზია. ამრიგად სამართალი

გაგებულია, როგორც ნორმათა წესრიგი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მორალის პრინციპებს.

ბუნებით სამართლის წყარო შეიძლება იყოს ადამიანის ბუნება, ღვთის ნება და გონი, განასხვავებენ ბუნებითი სამართლის სამ სახეს: ანთროპოლოგიურ, რელიგიურ და რაციონალურ ბუნებით სამართალს.

თუმცა ბუნებით სამართალსაც არ მოყვა ერთმნიშვნელოვანი აღიარება. ბუნებითი სამართალი ვერ დაეფუძნებოდა რწმენას, რადგან შეუძლებელია რწმენის რაციონალური დასაბუთება. ბუნებით სამართალს ვერ დავასაბუთებთ გონის საშუალებით, რადგან ის მხოლოდ აზროვნების ფორმალურ წესებს აყალიბებს. ასევე სამართალი არ გამომდინარეობს ადამიანური ბუნებიდან. შეუძლებელია მეჯელობიდან (არსიდან) გამომდინარეობს (ნორმა) ჯერარსი. ანუ შეუძლებელია იქიდან რაც არის, გამომდინარეობდეს თუ როგორ უნდა იყოს.

სამართლის ნიშნები, ლეგალურობა და ლეგიტიმურობა

სამართალს ახასიათებს შემდეგი ნიშნები: 1) სამართალი ადგენს ქცევის განსაზღვრულ წესს, ადამიანთა სოციალური თანაცხოვრების რეგულირების მიზნით. 2) სამართლის ნორმის, როგორც ქცევის ზოგად სავალდებულო წესის მოქმედება ვრცელდება საზოგადოების ყველა წევრზე. 3) სამართალს ახასიათებს მოქმედების პრეტენზია. 4) სამართლის ნორმას ახასიათებს იძულებით განხორციელების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე სამართალი არის ნორმათა ერთობლიობა, რომლის დაცვაც უზრუნველყოფილია სახელმწიფო იძულებით.

სამართალი ჯერარსული მოვლენაა. სამართალი აღწერს არა ფაქტებს, არამედ განსაზღვრავს მოქმედებას, მაშასადამე, სამართალი შედგება პრესკრიფციული დებულებებისგან. ის ადგენს ქცევის სავალდებულო მოდელს, რომელიც მიხედვითაც უნდა მოიქცეს ნორმის ადრესატი. ნორმატიულობა განასხვავებს სამართლის ნორმას ბუნების კანონებისგან. სამართლის ნორმა არის ნორმატიული (პრესკრიპციული), ხოლო ბუნების კანონი დესკრიფციული (აღწერილობითი) ხასიათის.

ნორმატიული მსჯელობა არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი, ის შეიძლება იყოს სამართლიანი ან უსამართლო, მისაღები ან მიუღებელი. იურიდიული კანონი არ გამომდინარეობს ემპირიული ფაქტიდან. იქიდან რაც არის არ გამომდინარეობს ის რაც უნდა იყოს. შესაბამისად არსიდან შეუძლებელია ჯერარსის წარმოშობა. სამართლის ჯერარსული ნორმა ინარჩუნებს სავალდებულოობას მისი დარღვევის შემთხვევაშიც.

სამართლის ნორმა მიმართულია ადამიანის გარეგანი ქცევისკენ. ნორმას ნაკლებად აინტერესებს სამართლის მიმართ პირის შინაგანი დამოკიდებულება. შედარებით უფრო ნმნიშვნელოვანია პირი მოტივაცია სასჯელის განსაზღვრის დროს. სამართალი მიმართულია მომავლისკენ. მოსამართლე მართალია განიხილავს წარსულში ჩადენილ დანაშაულს, მაგრამ

მთავარია, რომ ქცევა აკრძალული იყო იმ დროისათვის მოქმედი კანონით. კანონის უკუძალის აკრძალვა არის საყოველთაოდ აღიარებული სამართლის პრინციპი.

სამართალს ახასიათებს ჰეტერონომიული სავალდებულობა. სამართალი შესასრულებლად სავალდებულოა, ნორმის ადრესატის სურვილის მიუხედავად. ნორმა სავალდებულოა ჰეტერონომიულად, რამდენადაც მისი შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ იძულების მექანიზმით.

სამართალი ეს არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმების ერთობლიობა. სამართალშემოქმედება სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი და ექსკლუზიური ფუნქციაა. მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია დაადგინოს ქცევის სავალდებულო ნორმა. კერძო პირს არ აქვს უფლება სხვა პირს აუკრძალოს ან უბრძანოს რამე.

ლეგალურობა ეს არის კანონიერი, სამართლებრივი, კანონთან შესაბამისი. ლეგალურია ხელისუფლება, რომლის საქმიანობაც ხორციელდება კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად.

ლეგიტიმურობა ნიშნავს ხალხის ნდობითა და რწმენით, ხალხის მხარდაჭერით აღიარებულ ამა თუ იმ ნორმას. ლეგიტიმურობა შეიძლება იყოს ფორმალური ან მატერიალური. ფორმალური ლეგიტიმურობა გულისხმობს, რომ სამართალი დადგენილია სათანადო პროცედურების დაცვით. მატერიალური ლეგიტიმურობა გულისხმობს, რომ სამართალი უნდა იყოს მართალი, სწორი.

სამართლის რეგულაციური ფუნქცია

სამართალი არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს და მხოლოდ საზოგადოებაში მოქმედებს. სამართლის რეგულირების ფარგლებს განაპირობებს საზოგადოებრივი ურთიერთობების სტრუქტურა. სამართლის რეგულაციური შესაძლებლობები სოციალური კანონზომიერების ფარგლებშია მოქცეული.

საზოგადოებრივი ურთიერთობების დიდი ნაწილი რეგულირდება ავტონომიურად, იურიდიული ჩარევის გარეშე. სოციალურ წესრიგს სამართლის გარდა უზრუნველყოფენ სხვა ნორმატიული სისტემებიც (მორალი, ჩვეულება).

სამართალი აყალიბებს სოციალური მართვის ნორმატიულ საფუძვლებს, შესაბამისად ახორციელებს ორგანიზაციულ ფუნქციას. სამართალი ახასიათებს სოციალური მართვის ფუნქციასაც, როდესაც გარკვეული მიმართულებით წარმართავს ურთიერთობაში მონაწილე მონაწილე სუბიექტების ქცევას. სამართალი ასრულებს დაგეგმვისა და სოციალური პროგნოზირების ფუნქციას. ინდივიდის ქცევამ არ უნდა დაარღვიოს საზოგადოებისა და სხვა

ინდივიდის ინტერესები. ამრიგად, სამართალი ასრულებს სოციალური კონტროლის ფუნქციას.

სამართლის დაცვითი ფუნქცია გამოიხატება სამართალდარღვევაზე სათანადო რეაქციის ფორმით. საზოგადოების სოციალური სტრუქტურა შეიძლება განადგურდეს, თუ სახელმწიომ კანონსაწინააღმდეგო ქცევა რეაგირების გარეშე დატოვა. იურიდიული სანქციის მუქარით სამართალი იცავს საზოგადოებას და ასრულებს რესპრესიულ ფუნქციას.

სამართალი უზრუნველყოფს სოციალურ ურთიერთობათა სტაბილურობას. საზოგადოებაში მოქმედებს სამართლებრივი უსაფრთხოების რეჟიმი. აქედან გამომდინარე უსაფრთხოებისა და სოციალური თანხმობის უზრუნველყოფა სამართლის მნიშვნელოვანი ფუნქციაა.

სამართალი ასრულებს სოციალური ინტეგრაციის ფუნქციას. ის საზოგადოების წევრებს უყალიბებს ერთიანობისა და სოციალური სოლიდარობის განცდას. ამაში დიდ როლს ასრულებს კონსტიტუცია. მულტიკულტურულ საზოგადოებებში სწორედ ერთიანმა მართლწესრიგმა შეასრულა ინტეგრაციის ფუნქცია.

სამართლის სპეციფიკური ფუნქციაა იძულება. ამას ასევე ვხვდებით სოციალურ და მორალის ნორმებში. თუმცა სამართალში იძულება ხორცილდება ორგანიზებულად, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ განსაზღვრული პროცესების დაცვით, ხოლო მორალური ნორმების იძულებითი მოქმედება უზრუნველყოფილია საზოგადოების წევრების მიერ, ამორალური ქცევის დაგმობის ფორმით.

სამართლის წესრიგის ფუნქცია

სამართალი ადგენს გარკვეულ წესრიგს, რომელიც უნდა იყოს ცვალებადი, ე.ი. ღია. წესრიგი ყოველთვის განვითარებისა და სრულყოფის პრიცესში უნდა იყოს, რათაო პტიმალური და მორგებული იყოს არსებულ საზოგადოებას. წესრიგი მხოლოდ იქ არის სადაც ადამიანი ინდივიდუალური პასუხისმგებლობებით მოქმედებს, წესრიგის მიზანია ადამინისთვის ღირსეული ყოფის ჩამოყალიბება. ამიტომ წესრიგი მხოლოდ იძულება არ არის, პოლიტიკურ წესრიგში თავისუფლება და იძულება გარკვეული პროპორიით უნდა არსებობდეს.

სამართალი ასრულებს სოციალური მშვიდობის ფუნქციას. მართლწესრიგის ფუნქცია კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგება, დავის გადაწყვეტა არა ძლიერესა და პირადი შეხედულებების მიხედვით, არამედ სამართლის მოთხოვნილებების საფუძველზე.

თანამედროვე პლურალისტუ საზოგადოებაში ხშირია ინტერესთა კონფლიქტი. სამართალი ხელს უწყობს ინტერესების შერიგებას და ასრულებს კონფლიქტების მოწესრიგებისა და პრევენციის ფუნქციას. სამართალი ადგენს მართლწესრიგს, რომლის შექმნაც არის მხოლოდ

სახელმწიფოს ფუნქცია. მართლწესრიგის ერთიანობას კი სახელმწიფოს ერთიანი ნება უზრუნველყოფს.

სამართლებრივი უსაფრთხოება უზრუნველყოფს სოციალური ურთიერთობების პროგნოზირებად ხასიათს. ნორმის ადრესატების მოლოდინი ქცევის შესაძლო წესების შესახებ უნდა იყოს სტაბილური, ინდივიდმა წინასწარ უნდა იცოდეს თუ რას მოითხოვს მისგან სამართლის ნორმა. ასევე ურთიერთობაში მონაწილე მხარეს უნდა შეეძლოს მეორე მხარის ქცევის პროგნოზირებაც (ხელშეკრულების პირობების დაცვა). სამართლებრივი უსაფრთხოება გამოიხატება სახელმწიფოს კანონსაწინააღმდეგო ქცევას - კანონი ერთნაირად სავალდებულოა როგორც მოქალაქის, ასევე სახელმწიფოსთვის. მნიშვნელოვანია კანონის ტექსტის მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბება, რათა მოხდეს საზოგადოებაში ნორმის ერთგვაროვანი ინტერპრეტაცია.

სამართალი უნდა იყოს სტაბილური. კანონმდებლობის ხშირი ცვლისას მოქალაქეებს უჭირთ ქცევის ახალი წესების მასშტაბის განსაზღვრა. მხოლოდ სტაბილური კანონმდებლობის დროს შეუძლიათ მოქალაქეებ იმოქმედონ კანონის შესაბამისად.

ამრიგად სამართალი იცავს სტატუს კვოს და ასრულებს კონსერვატიულ ფუნქციას. თუმცა ამით ის ხელს არ უშლის განვითარებას, სამართალი უზრუნველყოფს პოლიტიკური ხელისუფლების შეცვლას არჩევნების გზით.

სამართლის ანთროპოლოგიურ-პერსონალური ფუნქცია

სამართლის ანთროპოლოგიური ფუნქცია განსაზღვრავს ადამინის არსებობას მის მოთხოვნილებებს. აღიარებს მის განსაკუთრებულ სოციალურ როლს საზოგადოებაში და იცავს პიროვნების სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ღირსებას.

სამართლის პერსონალური ფუნქცია მოიცავს პიროვნების სტატუსს. ის ეხება საზოგადოებრივ ურთიერთობებში მონაწილე ინდივიდებს. პერსონალური ფუნქცია უზრუნველყოფს პიროვნების თვითგამორკვევას, მის თავისუფალ განვითარებას, იცავს მის პირად და ინტიმურ სფეროს სხვა პირებისა და საჯარო ინსტიტუტების უკანონო ჩარევიგან.

ანთროპოლოგიურ-პერსონალური ფუნქციებიდან აღსანიშნავია სამართლის თავისუფლების ფუნქცია. ერთი შეხედვით სამართალი ზღუდავს და გარკვეულ ფარგლებში აქცევს ინდივიდის თავისუფლებას, თუმცა აღსანიშნავია, რომ აბსოლიტური თავისუფლება არ არსებობს. შეუზღუდავი ტავისუფლება ასევე იქნებოდა აბსოლიტური დაუცველობა სხვა ინდივიდის თვითნებობისგან. ამიტომ სამართალი ადგენს ლიმიტირებულს თავისუფლებას. სამართალი უზრუნველყოფს ინდივიდისა და საზოგადოების სხვა წევრების თავისუფლებას შორის გონივრულ ბალანსს.

თანამედროვე სამართალს ასევე აქვს ეკოლოგიური ფუნქციაც. ამით იგი იცავს არამხოლოდ ახლანდელ თაობას, არამედ მომავალი თაობის ინტერესებს. ის იცავს გარემოს ადამიანის მავნე ზემოქმედებისგან, ზღუდავს თანამედროვე თაობის თავისუფლებას, რათა შეუნარჩუნოს მომავალ თაობებს სასიცოცხლო სივრცე.

სამართალი და ჩვეულება

სამართალი არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეასრულებლად სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა.

ჩვეულება არის საზოგადოების გარკვეულ სოციალურ ჯგუფში ხანგძლივი დროის განმავლობაში ჩამოყალიბებული ქცევის წესების ერთობლიობა.

ჩვეულება, ისევე როგორც სამართალი, ნორმატიულად არეგულირებს სოციალურ ურთიერთობებს. სამართალსა და ჩვეულებას აქვს შემდეგი საერთო ნიშნები: 1) ჩვეულებასაც და სამართალსაც აქვს ნორმატიული ხასიათი. 2) ჩვეულებაც და სამართალიც არის ჯერარსული წესრიგი. 3) არეგულირებს ადამინტა შორის ურთიერთობებს. 4) თითოეული მათგანი ეხება მხოლოდ ადამიანის გარეგან ქცევას, პირის შინაგანი განწყობა სამართალსა და ჩვეულებას ნაკლებად აინტერესებს.

ჩვეულებას და სამართალს აქვთ შემდეგი განმასხვავებელი ნიშნები: 1) სამართალს ადგენს სახელმწიფო, ჩვეულებას გარკვეული სოციალური ჯგუფი. 2) ჩვეულება მოქმედებს მცირერიცხოვან სოციალურ ჯგუფში, სამართალი კი მოიცავს ადამიანთა ურთიერთობების ფართო სპექტრს. 3) სამართლის ნორმისგან განსხვავებით, ჩვეულება ინდიფერენტულია ეთიკის მიმართ - არაეთიკური ჩვეულებაც ჩვეულებაა. 4) ჩვეულება არ ხორციელდება სახელმწიფო იძულების გამოყენებით, არ ახასიათებს იურიდიული სავალდებულობა, თუმცა გააჩნია სანქცია, რომელსაც განსაზღვრავს ესა თუ ის სოციალური ჯგუფი. სამართლებრივ იძულებას კი ყოველთვის სახელმწიფო ახორციელებს. 5) იურიდიული სანქციები წინასწარაა განსაზღვრული, ჩვეულების დარღვევისას კი სანქციის პროგნოზირება რთულადაა შესაძლებელი. 6) ჩვეულებითი წესრიგი უალიბდება ფაქტობრივი ურთიერთობისას, ხოლო პოზიტიური კანონმდებლობა - მხოლოდ სახელმწიფოს მიერ შესაბამისი პროცედურების დაცვით. 7) ჩვეულება ქმედითი იმის გამო, რომ ფაქტობრივად სრულდება, ხოლო სამართალი მოქმედებს იმისგან დამოუკიდებლად, დაცულია თუ არა მისი მოთხოვნები.

მართლწესრიგი და ჩვეულების წესრიგი ხშირად ემთხვევა ერთმანეთს. მაგ.: საქორწინო და საოჯახო ურთიერთობები ერთნაირადაა მოწესრიგებული სამართლითა და ჩვეულებით.

თუმცა არსებობს ისეთი სფეროები, რომელიც შესაძლებელია მოწესრიგდეს მხოლოდ სამართლით (რთული სოციალური ურთიერთობები, სატრანსპორტო მოძრაობა) ან მხოლოდ ჩვეულებით (ზრდილობისა და ეტიკეტის ნორმები).

სამართალი და ჩვეულება, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ჩვეულებისა და სამართლის კონფლიქტისას კი მოქმედებს პოზიტიური სამართალი. თუმცა ჩვეულების გავლენით შესაძლებელია შეიცვალოს არსებული მართლწესრიგიც.

ჩვეულება ისტორიულად წინ უსწრებს სამართალს. საზოგადოების საწყის ეტაპზე სწორედ ჩვეულება ასრულებდა სამართლის ფუნქციას.

სამართალი და მორალი

სამართალი არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეასრულებლად სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობა.

მორალი არის კულტურაზე, რელიგიაზე ან ფილოსოფიურ მსოფმხედველობაზე დამყარებული ადამიანთა ქცევის წესების სისტემა.

მორალი ეს არის შინაგანი ვალდებულებები, რომელსაც სინდისი განსაზღვრავს. მორალის ნორმები ადამიანის სინდისისკენაა მიმართული. თუმცა სინდისი აბსოლიტურად ინდივიდუალურია.

როგორც სამართალი, ასევე მორალი არეგულირებს ადამიანთა ქცევის წესებს. არსებობს მორალის ორი სახე: ინდივიდუალური და კონვენციონალური მორალი.

ინდივიდუალური მორალი თითოეულ ადამიანს ავტონომიურად უყალიბდება საკუთარი ნებისადა სინდისის კარნახით. ინდივიდუალური მორალი ხშირად კონვენციონალური მორალით განისაზღვრება.

კონვენციონალური მორალი საზოგადოდ, ჰეტერონომიულადაა დადგენილი. ეფუძნება საზოგადოების დიდი ნაწილის მორალურ წარმოდგენებს. ის აღზრდის პროცესში გადადის თაობიდან თაობაზე და მასზე გავლენას ახდენს კულტურული ტრადიციები, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები. სახელმწიფოს და საზოგადოების არსებობისთვის აუცილებელია საყოველთაოდ აღიარებული მორალური პრინციპების არსებობა

მორალური პრინციპები იცვლება დროის განმავლობაში. ასევე არსებობს სავალდებულო და სასურველი მორალური ნორმები.

სამართალსა და მორალს ახასიათებს შემდეგი საერთო ნიშნები: 1) ორივე აწესრიგებ ადამიანთა შორის ურთიერთობას. 2) მორალისა და სამართლის მოთხოვნები

შინაარსობრივად მსგავსია. 3) სამართლისა და მორალური მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა და ეს კეთილსინდისიერებას არ განსაზღვრავს.

მორალსა და სამართალს ახასიათებს შემდეგი განმასხვავებელი ნიშნები: 1) მორალი ყალიბდება ჩვეულების, ტრადიციის, ღირებულებითი წარმოდგენების გავლენით, სამართლის ნორმას ადგენს სახელმწიფო, განსაზღვრული პროცედურების დაცვით. 2) მორალური ნორმა დადგენილია აკრძალვის ან მოთხოვნის სახით, სამართლის ნორმაში კი აკრძალვა და მოთხოვნა აბსტრაქტულადაა ფორმულირებული. ამასთანავე სამართლისგან განსხვავებით მორალური ნორმა ზუსტად და გარკვევით არაა ჩმოყალიბებული. 3) სამართლის ნორმაში ცვლილების შეტანა ხდება სპეციალური პროცედურებით, მორალური ნორმები კი უფრო ხისტად, მორალური წარმოდგენების ცვლილებასთან ერთად იცვლება. 4) სამართალი აწესრიგებს ადამიანთა გარეგან ქცევას, მორალს კი პირის სუბიექტური ნება და მოტივიც აინტერესებს. 5) სამართალს ახასიათებს იძულება, რომლის შეუსრულებლობასაც მოჰყვება ფორმალური სანქციები, ხოლო მორალური იძულება ხორციელდება საზოგადოების მხრიდან არაფორმალური სანქციებით.

მორალი და სამართალი ქმნის ნორმატიულ ჯერარსულ წესრიგს. თუმცა მართლწესრიგი ჰეტერონომიული წესრიგია (უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ) ხოლო მორალი არის ავტონომიური წესრიგი. მორალისთვის მნიშვნელოვანია არამართო ადამიანის გარეგანი ქცევა, არამედ მისი შინაგანი სამაყარო. მორალისთვის მთავარი ღირებულება ადამიანის სინდისია.

სამართლიანობის სახეები

სამართლიანობის სახეებია: განაწილებითი, გათანაბრებითი, ფორმალური, ინდივიდუალური და სოციალური.

განაწილებითი სამართლიანობა მოიცავს ამა თუ იმ სიკეთის განაწილების პროცესს და მასში მონაწილე სამ სუბიექტს (მათ შორის სახელმწიფო). განაწილების პროცესში სახელმწიფო ხელმძღვანელობს სხვადასხვა მასშტაბებით. განაწილების ერთ-ერთ მასშტაბს წარმოადგენს სახელმწიფო.

განაწილებითი სამართლიანობა მნიშვნელოვანია იერარქიული სტრუქტურების მქონე ურთიერთობებში. ასეთ შემთვევაში განაწილების მასშტაბი შეიძლება იყოს თანასწორობა, შეტანილი წვლილი ან მოთხოვნილება. თანასწორობის პრინციპის დროს თითოეულს უნდა მივაკუთნოთ თავისი წვლილი. შეტანილი წვლილის მიხედვით უნდა გავითვალისწინოთ გასანაწილებელი სიკეთის შექმნაში ინდივიდის შეტანილი წვლილი. მოთხოვნილებების პრინციპის თანახმად თითოეულს ეკუთნის მოთხოვნილებების შესაბამისად.

გათანაბრების შემთხვევაში თანასწორობას აყალიბებს გეომეტრიული პროპორციულობა. გასანაწილებელი სიკეთე უნდა განაწილდეს სუბიექტების მოთხოვნილების შესაბამისად.

გათანაბრებითი სამართლიანობა მოიცავს ურთიერთობებს, რომლებსაც არ აქვთ იერარქიული სტრუქტურა. გათანაბრებითი სამართლის დროს თითოეულმა უნდა მიიღოს თავისი კუთნილი სიკეთე, არც ერთი მხარე არ უნდა იყოს წაგებული. გათანაბრებითი სამართალი არ არის დამოკიდებული პირის ინდივიდუალურ შეხედულებებზე.

გათანაბრებითი სამართლის შემთხვევაში თანასწორობას აყალიბებს არითმეტიკული პროპორციულობა. გათანაბრებითი სამართლიანობა სახელშეკრულებო, სასჯელის ან კომპენსაციის სამართლიანობის საფუძველია.

ფორმალური სამართლიანობა მოითხოვს რომ ნორმა იყოს ზოგადი და აბსტრაქტული, არეგულირებდეს განმეორებად ურთიერთობებს და მიმართული იყოს სუბიექტთა ფართო მასისკენ. ამ შემთხვევაში ნორმის შინაარსობრივ მხარეს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. ფორმალური სამართლიანობა მიიღწევა კანონის წინაშე თანასწორობის დაცვით.

ინდივიდუალური სამართლიანობა ითვალისწინებს გამონაკლისის ზოგადი სამართლებრივი წესიდან. სამართლის ნორმა სამართლიანი იქნება თუ ამავდროულად გათვალისწინებული იქნება ინდივიდუალური თავისებურებები, რადგან უგამონაკლისო ნორმამ შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში უსამართლობა გამოიწვიოს. თუმცა საგნობრივი სამართალი წინააღმდეგობაში მოდის სამართლებრივ უსაფრთხოებასთან, არ გამოორიცხავს შემტხვევითობასა და მოსამართლის თვითნებობას. ინდივიდუალური სამართლიანობა აბალანსებს კანონის ზოგად-აბსტრაქტულ დებულებებს.

სოციალური სამართლიანობა ეხება მთლიანად საზოგადოების ინსტიტუციონალურ წესრიგს. რესურსების სამართლიან განაწილებას საზოგადოებაში. სოციალური სამართლიანობა გულისხმობს ასევე ინდივიდის სამართლიანობის დაცვას მიუხედავად საზოგადოებაში, სოციუმში მისი სტატუსისა.

სამართლიანობა და თანასწორობა

თანასწორობა რეალურ სინამდვილეში არ არისებობს, ის მხოლოდ შეიძლება წარმოსახვითად ჩამოვაყალიბოთ. თანასწორობა სამართლის ფუძემდებლური პრინციპია, იურიდიული ცნებები აბსტრაქტულია იმიტომ, რომ ნორმა მოქმედებს ყველა ერთგვაროვანი და მსგავსი ურთიერთობების მიმართ.

თანასწორობის პრინციპი დასაბამს იღებს ღმერთის წინაშე ადამინის ტანასწორობის იდეიდან. ხოლო განმანათლებლობის ეპოქაში ჩამოყალიბდა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი. კანონის წინაშე ადამიანის თანასწორობა არის საყოველთაო ზოგადი პრინციპი,

რომლიც აღიარებულია დემოკრატიული სახელმწიფოების კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში. თანასწორობა კონსტიტუციური პრინციპია, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიხედვით ყველა ადამიანი ტავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად, სქესისა, რასისა, აღმსარებლობისა, პოლიტიკური შეხედულებისა და სხვ.

თუმცა სამართალი არ ესწრაფვის ტოტალურ თანასწორობას, თანასწორობის პრინციპი მოითხოვს, რომ კანონმდებელმა საგნობრივარ უთანასწორო არ განიხილოს როგორც თანასწორი, ხოლო საგნობრივად თანასწორი არ განიხილოს როგორც უთანასწორო.

სამართალს ახასიათებს ფორმალური თანასწორობა. კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლე ხელმძღვანელობს კანონმდებლის მიერ დადგენილი სამართლიანობის მასშტაბით. თუ არ არის მოწესრიგებული კანონმდებლობით კი მოსამართლემ სამართლიანობის მასშტაბი მოქმედი მართლწესრიგის ფარგლებში უნდა დაადგინოს.

არ არსებობს ფაქტობრივი თანასწორობა, კანონი არ ამბობს, რომ ყველა ადამიანი თანასწორია. სოციალური ტანასწორობა ისევე ეწინააღმდეგება სამართლიანობას, როგორც სოციალური უტანასწორობის გაუმართლებელი მასშტაბი.

სამართლიანობის თეორიები

სამართლიანობის ანალიტიკური თეორია აანალიზებს სამართლიანობის ცნების ლოგიკურ სტრუქტურასა და ლინგვისტურ შინაარსს.

სამართლიანობის დესკრიფციული (ემპირიული) თეორია ისტორიულად, სოციალურად, ფსიქოლოგიურად ანალიზებს სამართლიანობის შესახებ საზოგადოებაში არსებულ შეხედულებებს. არკვევს ამ შეხედულებების როლს საზოგადოების განვითარების პროცესში.

სამართლიანობის ნორმატიული თეორია არა მარტო აღწერს ადამიანთა ღირებულებებით წარმოდგენებს, არამედ ახდენს მათ შეფასებას. ნორმატიულ თეორიაში გამოიყოფა პროცედურული და მატერიალური თეორიები.

სამართლიანობის მატერიალური თეორია განსაზღვრავს თუ რა არის სამართლიანი და უსამართლო, ცდილობს დასაბუთოს გადაწყვეტილების სისწორე.

პროცედურული თეორია აყალიბებს სამართლიანი სამართლის დადგენისა ან სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების წესსა და პირობებს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პროცედურული წესების დაცვას.

განასხვავებენ პროცედურული თეორიის სახელშეკრულებო და სასამართლო მოდელს. სახელშეკრულებო მოდელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თანასწორობასა და გამორიცხავს იძულებას.

პროცედურული თეორიის თანახმად სასამართლო მოდელის თანახმად, დავის შემთხვევაში გადაწყვეტილება უნდა მიიღოს მესამე, დამოუკიდებელმა და კვალიფიციურმა მხარემ მიუმხრობლად და ობიექტურად.

ბუნებით-სამართლოებრივი ტეორიის მიხედვით კი სამართლიანობა არსებობს ბუნებაში დროისა და სივრცის გარეშე, ადამიანის ნებისგან დამოუკიდებლად.

როულზის თეორიის დაფუძნებულია ორ პრინციპზე: 1) ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლებები - კანონის წინაშე ტანასწორობა, თანაბარი სასტარტო პოზიცია.

2) თუ მათ ექნებათ თანაბარი სასტარტო პოზიცია, თანაბარი განვითარების საშუალება, ამის შედეგად მიღებული სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა არის სამართლიანი. ამისათვის ის წარმოიდგენს ჰიპოთეტურ მდგომარეობას. განვითარების პირველყოფილ საწყის მდგომარეობას. როცა ადამიანებისთვის უცნობი იყო სოციალური სტატუსი, ნიჭი, ასაკი და ამის შედეგად მიღებული უთანასწორობა სამართლიანია.

უტილიტარიზმის თეორია ჩამოაყალიბა იერემია ბენტამმა. უტილიტარიზმის მიხედვით სამართლიანია მაქსიმალურად დიდი კეთლდღეობა მაქსიმალურად ბევრი ადამიანისთვის.

რაც უფრო ბევრი ადამიანია ბედნიერი მით უფრო სამართლიანია.

სამართლის ეკონომიკური ანალიზი მიხედვით, საუკეთესოა ის კანონი, რომელიც მაქსიმალურად მომჭირნედ ხარჯავს საზოგადოებრივ რესურსებს.

რაც შეიძლება მეტი სარგებელი, რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯით.

